ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 21
26/07/2017

21-08-4-201707261642

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბახმაროს ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბახმაროს ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესი“ (დანართი 1).

მუხლი 2.

დამტკიცდეს წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობისათვის გაწეული ხარჯის დაფარვის შესახებ ქვითრის ფორმა.(დანართი 2)

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა